



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010172391242418

11 / მაისი / 2018 წ.  
№ 403/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით N129 ელექტრონული აუქციონის (3) განმეორებით გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, „კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის № 1150 განკარგულების, 2018 წლის 25 აპრილის შპს „ვიონი საქართველო“-ს წერილის N563/18 და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 06 ნოემბრის N26024/07 და 2018 წლის 22 მარტის N5768/07 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს N129 ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში (ერთ) წლამდე ვადით გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:
  - ა) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული ბაკურიანის სატყეო უბანი, ბაკურიანის სატყეო, კვარტალი N29-ის ლიტერი N9 – 100 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: 64.30.03.846).
  2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლობის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
  3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ხაბეიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;
  4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5/14/2018

ეროვნული სატყეო სააგენტო

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



გრიგოლი ბლიაძე